ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №169602

ნომერი: AR145729

თარიღი : 02.05.2012

გაცემის თარიღი : 17.05.2012

გაცნობის თარიღი : 17.05.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 35 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლეილა ბაგაური პ/ნ 01005006768
- თბილისი გ.ცაბაძის ქ. კორ. 2 ბ. 35

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  რეკონსტრუქცია

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი – მთაწმინდა), კოსტავას ქ. N35–ში არსებული დროებითი შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქციას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

განცხადება და თანდართული დოკუმენტები განიხილა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებულმა სამეცნიერო–მეთოდურმა საბჭომ (ოქმი N19, 08.05.12წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის დროებითი შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქციის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (1. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით 01.15.03.010.009 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N882012178901; 2. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა; 3. ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი – მთაწმინდა), კოსტავას ქ. N35–ში არსებული დროებითი შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქციის განხორციელების შესაძლებლობას.

სამუშაოების დაწყებამდე აღნიშნული შეთანხმებული იქნეს მესაკუთრესთან.

გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა–ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge